საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 14 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ უბრუნებს და არც შესახებ აძლევს წერილობით პასუხს.

Адрес Редакции и Конторы: Тифлис, Головин. пр. 199. Редакция „Эртоба“. ... რედაქციის ... თელ. ... ტელეფონი 16—62.

№ 270 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 270

ღრმად დამწუხრებულნი დედა კესარია ფიფიას ასული, ძმები: ალექსი, ჯუნდა, გუდუ, ზეზვედე გოგიაძენი, დები: ვარვარა, ცაცუ და კაკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**სტეფანე გოგიას ძე გაძაღუას**

გარდაცვალებას, რომელიც იქნა ვერაგულად მოკლული ბაღდადის მთაზე „მიღობალაში“ 7 სექტემბერს 1918 წ. ტირილის და უკანასკნელად გამოთხოვების დღე დანიშნული არის 8 დეკემბერს 1818 წ. ძველი სტილით სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) დაკრძალვა იქნება მუხურის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (8—1)

მთავარი სამაჟის მუშა-მოსამსახურენი აუწყებენ ამხანაგ—მეგობრებს და ნათესავთ, რომ უდროოდ გარდაცვალებულის ყაზნეგის სამაჟის გამგის

**მირონ გიორგის ძე მარინაშვილის**

სარაჯმოცო დღის პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 15 დეკემბერს (ძველი სტ. 2 დეკემბ.) დიდუბის ეკლესიაში 11 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი გოგოლი დიმიტრის ასული შვილებით: პელაგია და თამარით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 14 დეკემბერს 12 საათზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, მათთვის ძვირფასის

**ჯიმშერი გექანის ძის გერექიანის**

სულის მოსახსენებლად ს. ზენობანში (კურია)

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამი, მეუღლე სოფიო მიხეილის ასული, ძმები ილია და კოლა ოჯახობითურთ, და ლიზა, სიძე ვანო იოსების ძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხუთშაბათს, დილის 6 საათ. მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი და ყველასათვის საყვარელი

**კონსტანტინე მიხეილის ძე ლაზარევი**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 ს., დაკრძალვა კვირას, 15 დეკემბერს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 10 ს. ანჩისხატის ქუჩა № 3, სამების ეკლესიაში. (2—1).

| |
|---|
| 1918 წ. ორშაბათს, 16 პარასკევს, 20 და ორშაბათს, 23 |
| წარ. № 4, 5, 6. |

## სახელმწიფო თეატრი

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ზღაპარი ფერია

## ცისანათლე

(I ნაწილი) 3 მოქმ. 7 სურ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ ნ ვაკარევის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

რეჟისორი შალვა დადიანი — რეჟისორის თანაშემწ. ალ. გუგუშვილი.

მ ს ა ხ ი ო ბ ნ ი: აბაშიძე ტ., ამირაჯიბიც, ანჯარა ს., დავითაშვილი ნ., ლეჟავა ოლ., სინაურიძე ო. ქილარჯიშვილი მარგ., ჩხეიძე ან., ჯავახიშვილი ნატ., აპტალიძე, აბდუშელი დ., არაბიძე ვ., ბარველი ივ., გამყრელიძე ვ., გვარამაძე ნიკ., იმნაიშვილი გ., ლორთქიფანიძე მ., სარაული მიხ., საფაროვი ზ., ფანიაშვილი, ფრონის პირელი გ., ციციშვილი ნიკ., ცხაკაია მ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე შ.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

მორიგი წარმომადგენელი ალ. გაჩეჩილაძე — მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება: ანტიგონე, ტარიელ გოლუა. 2—1

## სახალხო გვარდიის დღესასწაულის გამო

— სახალხო გვარდიის დღესასწაული დიდ მნიშვნელოვან დღეთ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში. საქართველოს დემოკრატიამ ქვეყანას გაახსნა თავისი მთავარი ძალა, თავისი რესპუბლიკის დედა ბოძი, რომელზედაც დამყარებულია მთელი დემოკრატიის ნუგეში და სასოება. ამ დღეს გამართული სახალხო გვარდიის პარადის ეფექტი დავას არავისში გამოიწვევს: სამხედრო ძალა, დისციპლინა და იდეური სიმაღლე, რომელიც სახალხო გვარდიას ემჩნეოდა ყოველ ფეხის გადადგმაზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც გვარდიის მომხრეზე, ისე მის მოწინააღმდეგეზე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მტერზე, ისე მის მოკეთეზე. დღესასწაულის მაყურებლები უნებურათ ადარებდნენ 1917 წლის „წითელ გვარდიას“ და 1918 „სახალხო გვარდიას“. რა ცვლილება განიცადა ერთის წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციამ! „ვის არ ახსოვს ამ გვარდიის საარსული თფილისის ქუჩებში? დალურჯებული თვალები, გაფუპარსავი სახე, რაღაც „კურტანი“ სამოსი ტანზე, მხრებში უცნაურად აწეული და რუსული „ვინტოვკა“, რაც ხანთელს უფრო ჰგავდა მის ხელში, რომლითაც თითქოს გზას იკვლევდა წყვდიადში, ვიდრე თოფს“.

აი რა სიტყვებით აგვიწერს შარშანდელს „წითელ გვარდიას“ პუბლიცისტი იმ პარტიისა, რომელიც სულ მუდამ მის მოსპობის საჭიროებაზე გაჰკიოდა. მაგრამ მუშა გვარდიელების ამ „დალურჯებულ თვალებში“ უკვე შარშან შეამჩნევდით ერთს ნაპერწკალს: ეს იყო ნაპერწკალი იდეით გატაცებისა, იგი იმის მაუწყებელი იყო, რომ „წითელი გვარდიელები“ ყოველწამს მზათ არიან სიცოცხლე შესწირონ რევოლიუციონურ იდეას, რევოლიუციის მონაპოვართა დაცვას და გვარდიის დღესასწაულმა დაგვანახვა, რა შესძლებია იდეით გატაცებას: შარშანდელ გაუწრთვნელ და გამოუცდელ „წითელ გვარდიიდან“ გამოიჩეკა და გაიზარდა ის სახალხო გვარდია, რომელმაც 12 დეკემბერს ყველა მნახველი გააოცა თავის დისციპლინით, სამხედრო მომზადებით და იდეით გამუქებულ მეომართა ელფერით.

ის კულტურა და სამხედრო სიმაღლე, რომელზედაც ავიდა სახალხო გვარდია ერთის წლის განმავლობაში, ისე თვალსაჩინოა, რომ გვარდიის დაუძინებელმა მტრებმაც კი თავი დახარეს მის წინაშე და ისინი, ვინც გუშინ ზიზღით და აღშფოთებით ახსენებდნენ გვარდიას, დღეს იძულებულნი არიან ხაღამი უძღვნან მას, სახალხოთ აღიარონ მისი ღირსებანი და მისი ღვაწლი. ნაციონალ-დემოკრატები მზათ არიან შეადარონ „სახალხო გვარდიის“ ღვაწლი იმ 300 ხევსურთა სიგმირეს, რომელთაც კრწანისის ველზე დახდეს თავი სამშობლოს დასაცავათ ბრძოლაში.

„ის ხდარაჯობდა ჩვენში რევოლიუციას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და ისინი იყვნენ ნამდვილი არწივები, რადგანაც მათ იფრინეს მყინვართან და დარიალზე, თავის ნისკარტით შეეხნენ შავ ზღვას და ეძინათ აფხაზეთის ტყეებში, სადაც იზრდება ბზა“.

აი, როგორის აღტაცებით სწერს დღეს „საქართველო“ „სახალხო გვარდიის“ შესახებ.

„დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან არ აღვიაროთ ის უცილობელი და ხერიოზული ღვაწლი, რომელიც სახალხო გვარდიამ დასდო ქართველთა ეროვნულ საქმეს“, სწერს ამ გვარდიის მეორე მოსისხლე მტერი—„გრუზია“.

თვით შეუდრეკელი „კლდის“ თანამშრომელნი, რომლებიც ჯერ კიდევ წარსულ კვირის ნომერში ბ. გაბაშვილის პირით გვარდიელებს კაცის მკვლელობას აბრალებდენ, ვერ მალავდენ თავის სახეზე კმაყოფილებას იმის გამო, რომ ქართველში ხალხმა შესძლო იმისთანა ხიმაგალითი ძალის შექმნა, როგორიც არის სახალხო გვარდია.

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლად არსებობის მოწინააღმდეგე სოც.-რევოლიუციონერთა გაზეთი „ზნამია ნაროდა“ ც კი ხარკს უძღვნის „სახალხო გვარდიას“.

„ჩვენ მუდამ ვაღიარებდით, რომ სახალხო გვარდიამ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოში წესიერების და მშვიდობიანობის დამყარების საქმეში; მის მუშაობაში ჩვენ ვერ ვნახავთ არა ერთი გმირული წამი“, ვკითხულობთ ამ გაზეთში.

„სომხის სახალხო პარტიის“ ორგანო „ჟოღოვურთი ძაინი“ ამნაირათ სწერს „სახალხო გვარდიაზე“:

„როდესაც უკან მივიხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ „სახ. გვარდიამ“ ბევრი გააკეთა... ჩვენ სიამოვნებით მოვიგონებთ იმ ნაბიჯებს, რომლის წყალობითაც მან გაანთავისუფლა ანარქიისაგან ჩვენი ქალაქის და მთელი საქართველოს მცხოვრებნი“.

ამნაირათ, დღეს „სახალხო გვარდიის“ ღვაწლს ხმა მაღლა აღიარებენ მისი მტრებიც, რომლებიც ამ ბოლო დრომდის მის მოსპობაზე ლაპარაკობდნენ. მის ღვაწლს ვერ უარყოფენ თვით ისინიც, რომელთაც არაფრათ ეპრიანებათ საქართველოს რესპუბლიკის გამაგრება.

12 დეკემბერს, გამართულმა დღესასწაულმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა „სახალხო გვარდიის“ ღვაწლი და მისი მნიშვნელობა, მისი მტრებმა კიდევ უფრო ისწავლიან მოწიწებით ლაპარაკს მუშათა დემოკრატიის მიერ შექმნილი ძალის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი კი დაინახავენ, რომ ის დემოკრატია რომელსაც ძლიერს „სახალხო გვარდიასთანა“ ძალის წარმოშობა, შესძლებს დემოკრატიულ რესპუბლიკის დაცვას და განმტკიცებას.

## პრესა

გაზეთ „შრომის“ პუბლიცისტები სოციალისტობას გვიწუნებენ და ბურჟუაზიის იდეოლოგობაში გვდებენ ბრალს.

რაშია საქმე?

„ერთობა“-ში ჩვენ ვწერდით: „მარქს-ენგელსმა მეცნიერულათ დაამტკიცეს, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი წყობილება ვერ დამყარდება, სანამ მისი წინამორბედი ურთიერთობა სავსებით არ ამოსწურავს თავის სასიცოცხლო ძალებს“.

„შრომას“ ამოუწერია ეს სიტყვები და ბრძნულად გვასწავლის:

„ესე იგი, სანამ ბურჟუაზია მთელ სიმდიდრეს ხელში არ ჩაიგდებს, სანამ მას არ მოსწყინდება ბატონობა (ხაზი „შრომა“სია—მეპრ.), ვინაიდან აშკარაა, სანამ ის სასიცოცხლო ძალებს არ ამოსწურავს საუკუნოები გავა—მანამდის მშრომელმა ხალხმა ხელი არ უნდა ახლოს ბურჟუაზიის ბატონობის საფუძველთ.

თურმე „ერთობა“-ს აზრით ეს ყოფილა მეცნიერული სოციალიზმი. შოდი და ნუ გაგვეცინება!“..

როცა „შრომას“ ასეთ ლათაიებს კითხულობ, შეუძლებელია სიცილის გუნებაზე დადგე. პირიქით, სატირალია, რომ ასეთი ავლადიდების ხალხი სოციალისტების სახელით ევლინებიან მკითხველს. განა ჩვენ ისა ვთქვით ბურჟუაზიის ბატონობის საფუძველთ ხელი არ ახლოთო? განა ჩვენი ყოველდღიური მუშაობა იმის მაჩვენებელი არ არის, რომ ჩვენ ვიბრძვით ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ?

ჯერ თითონ იმ წერილში, რომლის გამო „შრომა“ გვეკამათება, ჩვენ ვწერდით: „დემოკრატია თავდაპირველათ ანგარიშს გაუწევს ქვეყნის საერთო ბედს, მას სარგებლობას და შეებრძოლება კაპიტალისტების ცალმხრივ-წახსნილობას, მათს მადას, მხოლოდ საკუთარ სარგებლობისაკენ მიმართულს. მაგრამ რამდენათაც ჩვენი ახალ-ფეხ ადგმული კაპიტალისტები შეეცდებიან თავიანთი გამდიდრების სურვილი დაამყარონ ტეხნიკის განვითარებასა და კულტურის აყვავებაზე, იმდენათ ჩვენი სიმპატია მათს მხარეზე იქნება და ჩვენს პოლიტიკურ მოვალეობათ ჩავთვლით დახმარება აღმოუჩინოთ მათ“.

მერე, ბატონო „შრომელებო“, ეს არის ბურჟუაზიის ბატონობისათვის ხელის არ ხლება? მაგრამ თქვენ სულ სხვა რამე გაწუხებთ. ეტყობა, თქვენი ახალგაზრდური ტემპერამენტი ვერ ითმენს ლოდინს, მას სურს ახლავე გადასკუპდეს სოციალისტურ სამოთხეში! რომ შეიძლებოდეს, ჩვენც თქვენთან ვიქნებოდით, მაგრამ უტოპისტები და ავანტიურისტებიც იმიტომ ბძანდებით, რომ ანგარიშს არ უწევთ ეკონომიურ განვითარების პირობებს. აბა მოიგონეთ რა მოუვიდა რუსეთს, როცა თქვენი ჰკუის ხალხმა სოციალიზმის განხორციელება მოინდომა დღესვე.

* * *

გასაკვირი არაა, რომ ასეთს ხალხს თავი და ბოლო ვერ გაუგია ჩვენი აგრარული პროგრამის. „შრომას“ მეპრესეს მოყავს სოჭის საბჭოს დადგენილება საქართველოს საზღვრებში დროებით დარჩენის შესახებ და დასძენს „ბორბას“ საყურადღებოთ:

„რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მიწის სოციალიზაცია. იგივე კანონი მიიღო და დაადასტურა სოჭის გლეხთა ყრილობამ. კარგი იქნებოდა რომ „ბორბას“ ეთქვა: როგორ აპირებს ამ კანონის სოჭის ოლქში გატარებას ის სამინისტრო, რომელმაც მიწის საკითხის გადაჭრაში ეროვნულ დემოკრატების ტაჩანჩალობა აირჩია!“

„შრომის“ ავანტიურისტებს ავიწყდებათ, რომ ერთია რევოლიუციის მიღება, ხოლო სულ სხვაა მისი ცხოვრებაში გატარება. სოჭის ოლქში ჩვენი სამინისტრო თავდაპირველათ შეეცდება მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევას და თუ გლეხობა სოციალიზაციას მოითხოვს, ის, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ არ წავა, როგორც არ წავიდოდა სოციალიზაციის წინააღმდეგ არც ჩვენში, რომ გლეხობას მოეთხოვა ეს, მაგრამ „მშრომელებს“ ავიწყდებათ, რომ მოკლელ მეოცნებეთა მცირე ჯგუფის მოთხოვნა ვერ ჩაითვლება გლეხობის მოთხოვნათ.

ალბათ ამ გულმავიწყობის ბრალია „შრომის“ გაბრაზება—ვითომ ჩვენი მიწათ მოქმედების სამინისტრო ნაციონალ-დემოკრატების მაჩანჩალა გამხდარიყოს!

## სახალხო გვარდიის დღესასწაული

12 დეკემბერს თფილისის დემოკრატიამ ბრწყინვალეთ იდღესასწაულა სახალხო გვარდიის დღე.

მუშათა საბჭოში 11 დეკემბერს საღამოთი დაიწყო დღესასწაული. საბჭომ გვარდიის ხელმძღვანელს ვალიკო ჯუღელს გადასცა რევოლიუციონური წითელი დროშა ნ. ჟორდანიას ხელით. მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა ნოე ჟორდანიას: „სახელოვანმა სახალხო გვარდიამ ჩვენ აგვაცდინა ანარქიის საფრთხეს, შეგვინარჩუნა თავისუფლება, რევოლიუცია და მე მწამს, რომ არც მომავალში გადასცდება ის ერთხელ არჩეულ გზას და ამ დროშას ძირს არ დახრისო“.

ვალიკო ჯუღელმა შეჰფიცა მუშათა საბჭოს და მთავრობას, რომ სახალხო გვარდია ამ წითელ დროშას არასოდეს ძირს არ დახრის და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე „ებრძოლებს რევოლიუციის მიერ მონაპოვართა განმტკიცებისათვის, ის მხარს დაუჭერს მთავრობას, ვიდრე არ გადასცდება მუშათა კლასის სამსახურის გზას.

მთელი დარბაზი გაცხარებით ტაშს უკრავს და ისმის „ვაშა, გაუმარჯოს სახალხო გვარდიას“ ძახილი.

გვარდიის მთავარი შტაბის წევრებმა ჩაიბარეს დროშა.

დღესასწაულის გამო ამავე სხდომაზე ილაპარაკა ვ. ჯუღელმა; მან აღნიშნა გვარდიის დაარსების და მისი მოქმედების ისტორია, აღნიშნა გვარდიის ღვაწლი რევოლიუციაში. მთელი დარბაზი მას ხშირათ მხურვალე ტაშის ცემით აწყვეტინებდა სიტყვას.

შემდეგ ილაპარაკა ვგ. გეგეჭკორმა. მან ლამაზათ წარმოთქმულ მოკლე სიტყვაში ხაზი გაუსვა ორ ისტორიულ დატას—25 ოქტომბერს და 29 ნოემბერს. პირველია ანარქიის გამარჯვების დღე, ხოლო მეორე რევოლიუციონური შეგნების სტიქიურ მოძრაობაზე გამარჯვების დღე.

ილაპარაკა აგრეთვე გვარდიის შტაბის წევრმა ს. მაისურაძემ. ის შეეხო თავდაცვის კომისიის პირად შემადგენლობას და სთქვა, რომ ჩვენ, მარქსისტები, თუმცა პიროვნების თაყვანისმცემლები არა ვართ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ პირად შემადგენლობამ დიდი როლი ითამაშა. ის მოკლეთ ეხება აგრეთვე გვარდიის ნამოქმედარს წარსულში.

ამ სხდომას გერმანიის ოდგილობრივ ჯარისკაცთა საბჭოს პრეზიდიუმიც დაესწრო.

საბჭოს თავმჯდომარემ თავის მანდარინის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ ვიყავით რუსეთშიაც და საქართველოშიც. რუსეთში ჩვენ დავინახეთ თუ რა შედეგი მოსდევს ანარქიას, ბოლშევიზმს, საქართველოში კი ჩვენ ვისწავლეთ, თუ როგორ უნდა რევოლიუციის წარმოება. ჩვენ წავალთ აქედან და იქ, სამშობლოში, დავდგებით ჭეშმარიტი დემოკრატიის მხარეზე, გადავცემთ ჩვენს ამხანაგებს, თუ როგორ დაამარცხა რუს. რევოლიუცია ანარქიამ და დემოკრატიის სიმტკიცემ და თუ როგორ ბრწყინვალედ გაიმარჯვა რევოლიუციამ აქ, სადაც ჭეშმარიტი დემოკრატია ძლიერი აღმოჩნდა. მე მწამს, სთქვა მან, რომ გერმანიაში თუმცა ამ ჟამად არის ბოლშევიკური სულიერი განწყობილება, მაგრამ ის ჩაქვრება და ჯანსაღი დემოკრატია სასურველ მიმართულებით წაიყვანს საქმესო“.

ნ. ჟორდანიამ საპასუხო სიტყვაში მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანელი ჯარისკაცები მიდიან საქართველოს მიწა-წყალს მას შემდეგ, რაც მათსა და ჩვენს დემოკრატიას შორის საერთო სალაპარაკო ენა გაჩნდა. უსურვა მათ მშვიდობიანი მგზავრობა და ნაყოფიერი მუშაობა. „გაუმარჯოს ახალ გერმანიას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს“ ო, ასე დაათავა მან სიტყვა. ამის შემდეგ გერმანელმა ჯარისკაცებმა სხდომა დასტოვეს. მთელმა დარბაზმა ისინი ხანგრძლივი ოვაციით გააცილა.

12 დეკემბერს მთელი ქალაქი დილიდანვე საზეიმოთ არის მორთული. დიდი და პატარა დღესასწაულობს ..

დილის ცხრა საათიდან ხალხმა იწყო დენა გოლოვინის ქუჩისაკენ. 10 საათზე გამოჩნდა მილიციონერების ქვეითა და ცხენოსანი რაზმი.

10 საათიდან იწყებს, თანახმად სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ბრძანებისა დაწყობა გოლოვინის ქუჩის ორივე ნაპირად ჯარების სხვადასხვა ნაწილებმა...

11 საათზე გამოჩნდა ცხენოსანი რაზმი გვარდიელებისა. თვალ წარმტაც სანახაობას წარმოადგენდა ეს რაზმი.

შემდეგ დაიწყეს მოსვლა რიგ-რიგათ ქვეითა გვარდიელები არტილერიით, მოტოციკლეტთა რაზმით და ტყვიისმფრქვეველებით. ლამაზი და კარგი სანახავი იყო გვარდიელები, რომლებსაც თოფების ხიშტებზე პატარა წითელი დროშები გაეკეთებინათ.

11 საათზე მოვიდნენ პროფესიონალური კავშირები, რაიონული ორგანიზაციები, ჩვენი პარტიის წევრები თავიანთი დროშებით.

ქალაქს თავს დასტრიალებდა ოთხი ჰიდროპლანი. სხვა ჰიდროპლანებმა ამ დროს რამდენჯერმე გადაიფრინეს ქალაქზე—საბურთალოდან გოლოვინის პროსპექტის მიმართულებით ალექსანდროვის ბაღისაკენ. ეს აეროპლანები ისე ახლოს მიფრინავდნენ რომ ქუჩაში მდგომი ხალხი შიგ მჯდომ მფრინავს კარგათ არჩევდა რომელიც ხელების ქნევით ხალხს მიმართავდა.

ქუჩებში დაჰქროდნენ საუცხოვო მორთული გაჩირაღდნებული ტრამვაის ვაგონები, სხვადასხვა ალაგას გაკეთებული იყო მხატვრული კიოსკები, ყულაბებით ფულებს აგროვებდნენ გვარდიის სასარგებლოთ, ჰყიდდენ სურათებს გვარდიელთა სამარი ცხოვრებიდან და სხ.

# დღეს

საქართველოში, შავი ზღვის ნაპირად მდებარე ქალაქებში, გენ. დენიკინის აგენტები მხნედ მუშაობენ—ავრცელებენ პროკლამაციებს, ეწევიან სიტყვიერ აგიტაციას და ადგილებსაც ზვერავენ.

——

სანაინთან ჩვენს მოხაზღვრე ჯარს თავს დასხმია სომხის ჯარის რეგულიარული ნაწილები, რომლებიც დაბანაკებულნი არიან კარაკლის ვორონცოვკას მიდამოებში. ჩვენს ჯარს მოუკლეს 15 და დაუჭრეს 14 კაცი.

——

ერევნიდან მიღებული ცნობით იქ მოუკლავთ სომხეთის პარლამენტის წევრი ამხ. შაიკ აზატიანი.

——

მოკავშირენი აცხადებენ, რომ უკრაინაში ისინი მხარს უჭერენ გეტმანის მთავრობას და გადაწყვეტილი აქვთ რუსეთის ტერიტორიის ბოლშევიზმისაგან გაწმენდა შეიარაღებულის ძალით და წესრიგის დამყარება.

——

ბრიტანეთის ჯარმა ქ. კელნში წესიერება აღადგინა, სადაც დარბევას ახდენდენ სამსახურიდან განთავისუფლებული მეზღვაურები. მდ. რეინის ხიდს ბრიტანეთით დარაჯები იცავენ.

——

მოკავშირე სახელმწიფოებს გადაწყვეტილი ჰქონიათ თავიანთი ჯარებით ბერლინში ზეიმით შესვლა.

——

ინგლისსა და ამერიკას შორის მოლაპარაკება სწარმოებს იმის შესახებ, რომ მათ ზღვებზე ერთნაირი ძალა ჰყავდეთ.

——

პეტლიურას ჯარი ოდესის ახლოს დგას. პოლონეთის და მოხალისეთა რაზმები ოდესას სტოვებენ. ოდესაში სერბიელთა ჯარის ერთი როტა შევიდა. ეკატერინოსლავში პეტლიურას და გენ. დენიკინის ჯარებს შორის ბრძოლა შესწყდა გერმანელ ჯარების ხარდლის მოთხოვნით.

——

ოსმალეთის მთავრობამ მოსთხოვა გერმანიის მთავრობას, რათა ოსმალეთში დაბრუნებულ იქნენ გერმანიაში თავშეფარებულნი ყოფილი დიდი ვეზირი თალაათ ფაშა და ენვერ-ფაშა.

---

მთელი ქუჩა ერევნის მოედნიდან ვერის დაღმართამდე ხალხით ისე იყო გაჭედილი რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა, როგორც იტყვიან.

12 საათზე პარადი მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ.

გვარდია და ჯარი გამწკრივებული იყო სასახლიდან, ვიდრე ვერის დაღმართამდე. ნოე ჟორდანიამ გვარდიის შტაბის წევრების თანხლებით ქვეითად ჩამოიარა ეს ადგილი და ყველა რაიონების გვარდიელებს ცალკ-ცალკე მიესალმა.

სასახლესთან სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ მიულოცა ვ. ჯუღელს დღესასწაული და გვარდიისათვის გადასცა წითელი დროშა, რომელიც ვერცხლის საყვირზე იყო გაკეთებული. ჯუღელმა გვარდიის სახელით მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გვარდიელები და ჯარისკაცები ერთდა იმავე აკვნიდან არიან, ორივე მუშის და დემოკრატიის შვილებია, ამიტომ მიზანიც ერთი აქვთ და ხელი ხელ ჩაკიდებულად უნდა დაიცვან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. როცა საქართველოს გაუჭირდება და მარტო გვარდია ვერ შესძლებს მტრების მოგერიებას, მაშინ აი, ამ საყვირით დაგიძახებთ თქვენ, ჯარს, და იმედიც გვაქვს, რომ შეერთებული ძალით ყველას გავუმკლავდებითო.

შემდეგ გვარდიის მთავარ შტაბს დღესასწაული მიულოცეს: მუშათა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებმა, რაიონული სოციალ-დემოკრატიული კოლექტივების წარმომადგენლებმა. შტაბის სახელით ჯუღელმა ყველას პასუხი გასცა. 3 საათზე პარადი გათავდა. საღამოს გაჩირაღდნებული იყო სასახლე, ქალაქის თვითმართველობა. საღამოს ხალხი მრავლად გამოიფინა ქუჩებში. წესრიგი დილიდანვე ყველგან საუცხოო იყო.

ყველა თეატრებში საზეიმო წარმოდგენები გაიმართა.

სახელმწიფო თეატრში წარმოდგენის დაწყების წინ დაიდგა დიდებული აპოთეოზი, რომელიც დღის გვირგვინათ უნდა ჩაითვალოს. სცენაზე ცოცხალი სურათის სახით დადგმული იყო ალეგორიული სანახაობა, რომელიც საქართველოს თავისუფლების ძეგლს გამოხატავს. ჩვენი ერის იდეალი და მისწრაფება ოქროს აკვანში წევს. მას ქართველი დედა უზის გვერდში და ჩონგურით ტკბილ ჰანგს უმღერის. ყველა ეს მოთავსებულია ძეგლის კვარცხლბეკზე, ხოლო თვით ძეგლი წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფო ღერბის დროშას და გრძნეული ჰიმნის შეთანხმება-კონზონანსს. ამ სანახაობას წინ გამწკრივებული იყო თეატრის ყველა არტისტები, ქართველი მომღერლები, მთელი გუნდი სახელმწიფო თეატრისა და სოლისტები. მათ ორკესტრთან ერთად შეასრულეს ქართული ჰიმნი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით. ჰიმნი ორჯერ გაიმეორეს. გვარდიის წარმომადგენლებს საზოგადოებამ ოვაციები გაუმართა...

დამსწრე.

# სანაინთან მომხდარ შეტაკების გარშემო

მთავრობის განცხადება პარლამენტში.

13 დეკემბრის სხდომაზე პარლამენტში სამხედრო მინისტრმა გრ. გიორგაძემ შემდეგი განაცხადა: 9 დეკემბერს მივიღეთ ცნობები, რომ სანაინთან ჩვენს რაზმს თავს დასხმია ადგილობრივი სომეხი მცხოვრებლები და სროლა აუტეხიათ. ამ სროლის დროს დაუჭრიათ ერთი ჯარისკაცი, რომელიც მეორე დღეს გარდაცვლილა. შემდეგ სომეხთა რაზმები (როგორც გამოირკვა შემდეგ, ნასალდათევი ხალხი) თავს დასხმია ჩვენს სადარაჯო რაზმს და 15 ჯარისკაცი მოუკლავთ, ხოლო 14 დაუჭრიათ. მდგომარეობის გამოსარკვევად გავგზავნეთ დელეგაცია.

გამოირკვა, რომ თავდამსხმელები არიან სომხის რეგულიარული ჯარის ნაწილები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პოლკოვნიკები და ოფიცრები. მათ კარაკლისს, უზურალას და ვორონცოვკას შორის აქვთ ტელეფონით კავშირი და სრული სამხედრო თანხობა. ამ მიდამოებში არის შტაბები, რომლებიც სამხედრო მოქმედებას ხელმძღვანელობენ. ჩვენ გვაქვს აგრეთვე დეპეშა, რომელიც ერთი ადგილიდან გაუგზავნია სომხის ჯარის ნაწილს მეორე ნაწილისათვის, რომლითაც სთხოვს მეორე ნაწილს აცნობოს საქართველოს ომი გამოვუცხადეთ თუ არაო, ჩვენ მზათა ვართო. დღეს დილით ცნობა მოვიდა, რომ ვორონცოვკასთან ისინი თავს დაესხნენ ჩვენ რაზმს. სანაინის მიმართულებით გზა გააფუჭეს.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ 6 დეკემბრიდან ჩვენ არავითარი ცნობა არ მიგვიღია სომხეთიდან. სანაინით დეპეშები არ მოდის. წინანდელი ცნობების მიხედვით არავითარი უფლება არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ სომხის ჯარის ნაწილები, რომელნიც ჩვენს რაზმებს თავს დაესხნენ, მოქმედებენ სომხეთის მთავრობის თანხმობით და ხელმძღვანელობითო.

### სომეხთა დელეგაციის ცნობა.

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ 12 დეკემბერს შემდეგი დეპეშა მიიღო ალავერდიდან: „დელეგაცია მშვიდობიანათ ჩავიდა ალავერდში, სად. ახპატში მოწვეულ იქნენ ახლო მდებარე სოფლების წარმომადგენლნი. დელეგაცია ღებულობს ყოველგვარ ზომებს. იმედი გვაქვს საქმის მშვიდობიანათ მოგვარების. სომხეთის მთავრობის დელეგაცია 5 ნ შილდავანთან ერთად, რომელიც გაჩერებული იყო გზების გაფუჭების გამო სად. კობერში მონაწილეობას ღებულობს საქმის მოგვარებაში.

# გენ. დენიკინის აგენტები საქართველოში

ფოთი, 10 დეკემბერი.

ამ უკანასკნელ დღეებში ქალაქში მრავლად გაჩნდნენ რუსი აფიცრები. როგორც ხმებია გავრცელებული, მოხალისეთა ჯარს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ აპირობს წამოსვლას, დაუგზავნია მზვერავები შავი ზღვის სანაპიროებზე და აგრეთვე საქართველოს სხვა ადგილებში, სადაც ცნობების შეკრებასთან ერთად მოხალისეთა ჯარის აგენტები ბლომად, თუმცა ფრთხილად, ავრცელებენ პროკლამაციებს და სადაც შეუძლიათ, სიტყვიერ აგიტაციასაც ეწევიან.

კერძოთ ფოთში გავრცელებულია უამრავი პროკლამაციები და სხვადასხვა „ცნობები". ადგილობრივი ადმინისტრაცია, სამწუხაროთ ამას ყურადღებას ვერ აქცევს. საჭიროა აუცილებლათ ჩვენმა მთავრობამ მიიღოს ყოველგვარი ზომები ამის წინააღმდეგ და ყველა ნავთსადგურებში, სოჭიდან დაწყებული ფოთამდე დააწესოს უსასტიკესი კონტროლი საქართველოში ყველა ჩამომსვლელ პირებზე.

ხშირათ გემების კაპიტნებს და მეზღვაურებს ჩამოაქვთ სააგიტაციო ფურცლები, რომელნიც ბლომათ გაუსაღებიათ სოჭში, გაგრაში და სოხუმში. სამწუხაროთ, გემებიდან თავისუფლათ ჩამოდიან მგზავრები და მათ ვინაობას არავინ არ ჰკითხულობს... მხოლოდ ბარგს უსინჯავენ დამოუნის მოხელეები; სააგიტაციო ფურცლებს ხომ აღარ აჩვენებენ „მგზავრები" დამოუნის მოხელეებს და ინახავენ, გემების კაპიტნების „კაიუტებში" და მეზღვაურებთან შემდეგ კი თავისუფლათ გამოაქვთ დ ავრცელებენ.

უსასტიკესი ზომები კონტროლისა და ჩხრეკის სახით გემებზე,—აი ერთად-ერთი მიზანშეწონილი ბრძოლის საშუალება გენ. დენიკინის აგენტებთან!

# საქართველოს პარლამენტი

10 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

კანონ პროექტი ძვირფას კულტურულ მამულებში პროდუქტების რეკვიზიციის შესახებ.

მომხსენებელია დ. ონიაშვილი. წარმოდგენილი კანონ პროექტი განხილულია აგრარულ კომისიაში, სადაც თითქმის ერთ ხმად იქნა მიღებული. ეს კანონ პროექტი ეხება იმ პროდუქტების რეკვიზიციას, რომელსაც რესპუბლიკისათვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. სეიმის მიერ გამოცემულ კანონების მიხედვით ძვირფასი კულტურული მამულები, რომლებსაც სამეურნეო ხასიათი აქვთ, ჩამორთმევა მემამულეებს. დაკანონებულია აგრეთვე ინვენტარის ჩამორთმევაც საფასურის მიცემით. მიწათმოქმედების სამინისტროს შეხვდა დაბრკოლება იმაში, რომ ჩაითვლება თუ არა ინვენტარის და მამულის განუყრელ ნაწილად პროდუქტები, სამინისტროს ამ შემთხვევაში არ ჰქონდა კანონი, რომლის საშუალებით შეძლება ექნებოდა ამ პროდუქტის რეკვიზიციისა. კომისიამ განიხილა ეს საკითხი და აღიარა, რომ პროდუქტების ნაწილი აუცილებლად საჭიროა მეურნეობის განვითარებისთვის. შეუძლებელია ყველა პროდუქტების ბაზარში გატანა და გაყიდვა. პროდუქტების ნაწილი უნდა დარჩეს მეურნეობისათვის. ის, როგორც ინვენტარი, განუყრელი ნაწილია მეურნეობისა და ამიტომ აგრარული კომისია კანონ-პროექტს იცავს.

ნუცუბიძე (ს.-რ.) წინააღმდეგია კანონ-პროექტისა. მას ეს დამღუპველ ნაბიჯად მიაჩნია, ეს გარემოება სოციალიზმისათვის მავნებელია და მას (სოციალიზმს) გვაშორებს. პროდუქტებში მემამულეებისათვის საფასურის მიცემა უკანონოა. ჩვენი ფრაქცია მოითხოვს არა რეკვიზიციას, არამედ კონფისკაციას იმ დაგროვილ პროდუქტებისას.

გ. გვაზავა. ბევრს ჰგონია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ რევოლიუცია არის. არა, ბატონებო, რევოლიუცია გათავდა. ასეთი კანონ-პროექტის მიღება შეუძლებელია. ის ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად კანონებს: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მეორე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაცული იქნება კერძო საკუთრება, ხოლო მეხუთე მუხლში—რესპუბლიკა არის დემოკრატიული და სამოქალაქო უფლებები ყველასი დაცული იქნება. ეს კანონ პროექტი არღვევს კერძო საკუთრების პრინციპს და იწვევს ალებ მიცემობის, გაპრიება მრეწველობის სფეროში. შემდეგ ორატორი ეხება თვით სიტყვა „რეკვიზიციას" და ამბობს, რომ ეს იხმარება მხოლოდ ომის დროს და რადგანაც ჩვენში ომი არ არის ეს სიტყვა კანონ პროექტში არ უნდა იყოსო. ორატორი დაასკვნის, რომ პროდუქტებს მეურნეობასთან არავითარი კავშირი არა აქვს და ამიტომ კანონ-პროექტი უარყოფილ უნდა იქნას.

თ. ღლონტი. (ს. ფ.) თავის თავად ცხადია რომ სახელმწიფოში ყოველთვის მოიძებნება ამა თუ იმ კანონის წინააღმდეგი წრე. ამ ჟამად გვაზავა და მისი ფრაქცია უკმაყოფილოა პროდუქტების რეკვიზიციის მოხდენით, მაგრამ ეს გასაგებია. ამ კანონ პროექტის მიღება და ცხოვრებაში გატარება არ არის საქართველოს ძირითადი კანონების დარღვევა და არც სოციალისტური აქტია, რადგანაც ის ვრცელდება მხოლოდ მეურნეობის ერთ დარგზე და ისიც იმიტომ, რომ პროდუქტების რეკვიზიცია აუცილებლად საჭიროა მეურნეობის განვითარებისათვის. თუმცა რევოლიუციური ხანა გავიარეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავივიწყოთ რევოლიუციის მიერ ნაანდერძევი ლოზუნგები. ამიტომ ჩვენი ფრაქცია ხავსებით მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონ-პროექტს და სიხარულით ეგებება მიწათ-მოქმედების სამინისტროს ასეთ ნაბიჯს.

ნ. ჟორდანია. აღნიშნავს, რომ მართალი არ არის გ. გვაზავას განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს მთავრობას თავის მოქმედების პრინციპად გაეხადოს კერძო საკუთრების რეკვიზიცია. მთავრობის აზრით, აცხადებს მთავრობის თავმჯდომარე, რეკვიზიცია არ შეიძლება იყოს მმართველობის საგანი. მთავრობა სრულ გარანტიას აძლევს ვაჭარ-მრეწველთ. ჩვენ მიგვაჩნია აუცილებელ საჭიროდ, რომ ვაჭრებმა და მრეწველებმა თავისუფლად შეეძლოთ მოქმედება და არავისი შიში არ უნდა ჰქონდეთ. წარმოდგენილი კანონ-პროექტი არის გაგრძელება აგრარულ რეფორმებისა და არავითარი კავშირი არა აქვს მრეწველობასთან. ვინც წინააღმდეგია აგრარული რეფორმისა, ის ცხადია, ამ კანონ-პროექტის წინააღმდეგიც იქნება. (გვაზავა ადგილიდან: აგრარული რეფორმის წინააღმდეგ არა ვართ პრინციპიალურად) თუ არა ხართ აგრარული რეფორმის წინააღმდეგი, მაშინ არც იმას წინააღმდეგი უნდა იყოთ, რომ იმ პროდუქტის ნაწილი, რომელიც მეურნეობის გა აგრძელებლად, განვითარებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ჩამოერთვას მემამულეებს საფასურის მიცემით. ასეთი მემამულეები რესპუბლიკაში 10 მეტი იქნება. რასაკვირველია ამ პროდუქტების ჩამორთმევის დროს მეპატრონეთა ინტერესებიც იქნება დაცული; თუ ჩვენ შევძლებთ ეს კანონი უმტკივნეულოდ გავატაროთ ცხოვრებაში, ეს მოხდება ისეთი გზით, რომ თვით მეპატრონეები დაკმაყოფილებულნი იქნებიან. ამიტომაც ვსთქვი მე, რომ ვაჭრობა-მრეწველობასთან ამ კანონ პროექტს კავშირი არა აქვს და ბ. გვაზავას განცხადება სიმართლეს არ შეიცავს მეთქი. (ტაში).

კ. ნინიძე. მე არ მოველოდი რომ ამ კანონ-პროექტის გარშემო კამათი იქნებოდა, რადგანაც, იგი, როგორც მთავრობის თავმჯდომარემაც განაცხადა, არის ლოღიკური შედეგი იმ კანონებისა, რომელიც ამიერ კავკასიის სეიმმა გამოსცა და ჩვენმა პარლამენტმა დაადასტურა. ახლა, როგორც ეტყობა, მათ უნდათ ისევ პრინციპიალური საკითხი წამოაყენონ და მის გარშემო გამართონ მსჯელობა. აქ ჩვენ ორი მხრით გვედავებიან: მემარჯვენენი და ეგრეთ წოდებული მემარცხენენი. სოციალისტ-რევოლიუციონერები წინეთ იმ აზრის არ ყოფილან, როგორსაც დღეს ლაპარაკობენ. დღეს ისინი ამბობდნენ, რომ სოციალური რეფორმა არ არის კარგი, მოდი პირდაპირ სოციალიზმი განვახორციელოთო. მათ ალბათ გერმანიის იმედი აქვთ: რაკი იქ დაიწყო სოციალისტური რევოლიუციის მაგვარი მოძრაობა, ჰგონიათ ჩვენში ახლავე სოციალიზმის განხორციელება შეიძლება. ეს არის რუსის „მუჟიკის" ფილოსოფია: ბატონი მოვა და ყველაფერს მოაწესრიგებსო.

ჩვენ ამ ფილოსოფიით ხელმძღვანელობა ამ ჟამად არ შეგვიძლია ჩვენი რესპუბლიკის შენების საქმეში.

ბ. გვაზავას ჰგონია, რომ ეს არის სოციალისტური აქტი და ამიტომ მისი მიღება შეუძლებელიაო. მას უკვირს როგორ შეიძლება მიწის რეფორმის იმ სახით განხორციელება, როგორათაც მას ჩვენი მიწათ-მოქმედების სამინისტრო ატარებს ცხოვრებაში. ბ. გვაზავას ავიწყდება, რომ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ, რომელსაც ეკუთვნის დიდებული დეკლარაცია ადამიანის უფლებათა შესახებ, მიწები უფასოთ ჩამოართვა მემამულეებს, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს, ვითომ იქ კერძო საკუთრება უარეყოთ. მაშ, თქვენ შეთანხმებით, ბ. გვაზავა, რომ კერძო საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა შეიძლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და ის არ არის სოციალისტური აქტი. თუ ამაში მეთანხმებით, დანარჩენი ადვილი გადასაწყვეტია. რაც შეეხება სიტყვა რეკვიზიციას, შეიძლება ის ქართული სიტყვით შეცვალოთ და მის მაგიერად ვიხმაროთ სიტყვები: „იძულებითი ჩამორთმევა". ძველი რეჟიმის უფლების საფუძველზე დამყარებული რუსეთის კანონების მე-10 ტომში, რომლის ძალით შეიძლება კერძო საკუთრების იძულებით ჩამორთმევა, თუკი ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ინტერესები. ავიღოთ მაგალითად, როცა სახელმწიფოს რკინის გზა გაყავს, იძულებული ხდება სახელმწიფო რამოდენიმე მოსახლე გლეხობა აყაროს და საფასური მისცეს, შეიძლება გლეხობას ეს აყრა სრულებით არ ეპაშნიკებოდეს, მაგრამ სახელმწიფო ამ მეთოდს მიმართავს. (გვაზავა: ეს უძრავი ქონებაა) ბატონებო, თუ უძრავი ქონების ჩამორთმევა შეიძლება, მით უმეტეს დასაშვებია მოძრავის იძულებით ჩამორთმევა. ყველა კანონები უძრავ ქონებას უფრო მტკიცეთ იცავენ, ვინემ მოძრავს. როგორც ხედავთ ეს კანონ პროექტი არ არღვევს კერძო საკუთრების პრინციპს.

ბ. გვაზავამ რეკვიზიცია დაუპირდაპირა ომის დროს. მას რეკვიზიცია კანონიერად მიაჩნია ომიანობის ხანაში, ხოლო მშვიდობიან დროს კი არა. ჩვენთვის ეს არ წარმოადგენს რაიმე იდეალურ. ჩვენ რეკვიზიციას უყურებთ მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. სამოქალაქო თავისუფლება, რომელზედაც აქ ბ. გვაზავა მიგვითითებდა, არასოდეს არ გულისხმობს საზოგადოების ინტერესებს კერძო პირის ინტერესებზე დაბლა დაყენებას, პირიქით სამოქალაქო თავისუფლება ყოველთვის გულისხმობს საზოგადოებრივი ინტერესების კერძო პირთა ინტერესებზე მაღლა დაყენებას.

რაც შეეხება ფასებს, აქ სწორედ საჭიროა გამორკვევა იმისა, როგორ უნდა დაფასდეს. ცხადია, რომ მთავრობა სპეკულიატურ ფასებს ვერ მისცემს პროდუქტებში, რადგანაც ცუდია თუ კარგი, პარლამენტმა სპეკულიაციის წინააღმდეგ კანონი გამოსცა და მთავრობა მას ვერ დაარღვევს. ასე რომ არ ყოფილიყო საქმე და მეპატრონეებს რომ შეეძლებათ ჰქონოდათ იმდენის მიღება საფასურად რამდენსაც მოისურვებდენ, მაშინ მათთვის არ იქნებოდა საჭირო (დამცველი გვაზავას სახით) რატომ მართმევთ?

ჩვენ იმიტომ ვართმევთ პროდუქტებს, რომ ის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მეურნეობის განვითარებისათვის, მეურნეობის გასაგრძელებლად. ჩვენ შეიძლება კარგი თეორეტიკები ვიყოთ, მაგრამ ამ სფეროში ძალიან ცოტა ვიცოდეთ. როცა აქ ამბობენ, რომ მეურნეობასთან პროდუქტებს კავშირი არ აქვსო და მაგალითად მოჰყავთ ერთი კომშის გამოსვლიდან ნაყიდი კომშის ... ამბობდა: კარი სახლის ... თუ კიდევ მოშორებულია, ... მაშინ ზედ სართავი საჭიროაო.

მეურნეობის საკითხში არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ მიტროფანუშკას ფილოსოფიით. აქ სპეციალური მეცნიერების ცოდნაა საჭირო. ასეთი მეცნიერები—აგრონომები კი გვეუბნებიან, რომ პროდუქტების ნაწილი საჭიროა ომისათვის. კულტურულ მეურნეობას სხვათა შორის აქვს საჩვენებელი ხასიათი, აგრეთვე მოპოვებული აქვს ერთგვარი ბაზარი. თუ ერთბაშათ გაყიდეთ ყველა პროდუქტი, მაშინ ბაზარი დაგეკარგებათო. ბ. გვაზავა კი გვესაყვედურებს თქვენი; კანონი კონკრეტიულ შემთხვევას ეხებაო. ალბათ მას სახეში ჰყავს ვიღაც მემამულე, მაგრამ კანონმდებელი არ იცავს კერძო პირთა ინტერესებს, არამედ საერთო ინტერესებით ხელმძღვანელობს კანონის გამოცემის დროს. ამიტომ ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილ კანონ-პროექტს.

ნ. ხომერიკი. აქ მოლაპარაკე ორატორები შეეცადნენ წარმოდგენილი კანონ-პროექტი დაეპირდაპირებიათ ჩვენს აგრარულ კანონებთან და სთქვეს, რომ ეს სულ სხვა პრინციპებიდან გამომდინარეობს და წინა კანონებთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე მსურს დაგიმტკიცოთ, რომ ეს კანონი ლოღიკური გაგრძელებაა უკვე გამოცემულ აგრარულ კანონების. მე ამას დაგიმტკიცებთ არა სიტყვებით, არამედ ფაქტებით, კანონებით. თქვენ იცით, რომ ამიერ კავკასიის სეიმმა გ მოსცა დეკრეტი მიწის. ეს დეკრეტი ეხებოდა ორნაირ მეურნეობას: გლეხურს და ინტენსიურს—კულტურულს. ერთის შესახებ კანონი ლაპარაკობს ჩამოერთვას მემამულეს და განაწილდეს. ხოლო მეორეს შესახებ აშკარად იყო ნათქვამი, რომ კულტურული მამულის განაწილება არ შეიძლებაო. რა ჰქონდა მხედველობაში სეიმს, როცა ასეთ კანონს სცემდა? რასაკვირველია, კულტურული მამულის, ინტენსიური მეურნეობის მნიშვნელობა. ზოგიერთს ჰგონია, რომ მეურნის და მეურნეობის ინტერესები ერთი და იგივეა, ანუ კაპიტალის და კაპიტალიზმის ეს ასე არ არის. მათი ინტერესები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. არ ვანაწილებთ კულტურულ მამულებს იმიტომ, რომ მეურნეობის ინტერესებისათვის ეს საჭიროა. განაწილებით კი ეს ინტენსიური მეურნეობა ჩაჰქრებოდა. იგივე მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა ნაწილი უკვე დამზადებული პროდუქტებისა დარჩეს მამულში. ამის საჭიროებას ერთხმათ აღიარებენ სპეციალისტები, აგრონომები. საფასურის მიცემის შესახებ ჩვენ მივდიეთ სეიმის მიერ შემუშავებული წესები. რატომ ჩამოვართვით ინვენტარი? იმიტომ რომ ის საჭირო იყო მეურნეობისათვის. რატომ ვართმევთ პროდუქტების ნაწილს? იმიტომ, რომ უიმისოდ მეურნეობის განვითარება შეუძლებელია, რომ იძულებით ჩამორთმევა კერძო საკუთრებისა შეიძლება სახელმწიფო ინტერესებისათვის, ეს თქვენ წინა მოლაპარაკე ორატორმა დაგიმტკიცათ. ძველი რეჟიმის დროსაც ართმევდნენ იძულებით კერძო საკუთრებას, ჩვენც ვართმევთ. განსხვავება იმაშია, რომ ძველი რეჟიმი ამას სჩადიოდა ერთი მუჭა მდიდრებისათვის, ხოლო ჩვენ ამას ვშვრებით მთელი დემოკრატიის ინტერესებისათვის.

პარლამენტმა მუხლობრივ განხილვის შემდეგ კანონ-პროექტი მცირე სარედაქციო შესწორებებით მიიღო.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

12 დეკემბერი.

### გერმანული პრესის ცნობები.

მე-15 დივიზიის ჯარი ნიკოლაევიდან გაგზავნეს დოლინსკვენ მიმავალ პეტლიურას ჯარის წინააღმდეგ. პეტლიურას ჯარი ოდესის ახლო სდგას.

გუშინდელ საღამოს ცნობაში ნახსენები გარანტია მოკავშირეთ არ მიუცია წერილობითი ფორმით მიუთითეთ მხოლოდ მე 15 მუხლზე.

დივიზიის ნაწილები გროსმდობინტალში გადაგზავნეს, რადგან ყაზარმებს მოკავშირეთა ჯარისთვის სცლიან.

პოლონეთის და მოხალისეთა ჯარის რაზმები ოდესას სტოვებენ.

ოდესაში მილიციის შეტაკება ჰქონდა ჯართან, რომელიც გერმანიის ჯარის საწყობის დარბევას შეეცადა. მოკლულია რამოდენიმე პოლონელი და ერთი უკრაინელი აფიცერი.

ოდესაში ჩამოვიდა სერბიელთა როტა, რომელიც ავსტრიის ჯარში მსახურებდა.

მთავრობამ დაადგინა არ აყაროს იარაღი გვარდიის ჯარს, რომელმაც ბერლინში გამოსვლა მოახდინა.

სამშობლოში დაბრუნებულ ჯარს გაზეთები მისასალმებელ წერილებს უძღვნიან.

გერმანელთა ვაჭარ მრეწველთა წრეების წინადადებით 9 დეკემბერს ფინანსთა სახელმ-

წიფო სტატს სეკრეტარმა შიფერმა მრავალრიცხოვან აუდიტორიის წინაშე, რომელსაც ბანკის ბირჟის და ვაჭარ მრეწველთა წრეები შეადგენდნენ, სიტყვა წარმოსთქვა გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობისა და კლასობრივ პოლიტიკის შესახებ. სიტყვის დასაწყისში სტატ-სეკრეტარმა სთქვა, რომ ფინანსიური მდგომარეობა ამ ჟამათ გამოურკვეველია, რადგან შეუძლებელია გამოირკვეს როგორი რაოდენობის გადასახადების დადება ხვდება სახელმწიფოს. ჯერ არ ვიცით შეთანხმების სახელმწიფონი რა მოთხოვნილებებს წარუდგენენ გერმანიას. ჩვენ არ ვიცით ეს მოთხოვნილებანი, არც ის ვიცით, თუ რა სავაჭრო პირობები იქნება მომავალში. ჯერ მხოლოდ ვიცით ჩვენ ერთი, რომ ვცხოვრობთ მხოლოდ იმით, რასაც ვშოულობთ. მდგომარეობა გამოურკვეველია და ნათელია მხოლოდ ის, რომ ყველაფერი ნანგრევებათ გადაიქცევა თუ ასე გაგრძელდა ყოველდღე, როგორც ამ ჟამათ. ჩვენი მტრების მიზანია არ გაგვანადგუროს, რადგან მოვალე გადიხდის ვალის ნაწილს მაინც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მისცემენ შემთხვევას გააფართოვოს თვისი ძალა. მტერი იგემებს რა გამარჯვებას, დარწმუნდება ალბათ, რომ გამარჯვება გამარჯვებულსაც ზოგიერთ მოვალეობას აკისრებს.

### ინგლისური პრესის ცნობები.

ბრიტანიის ჯარმა კელნში აღადგინა წესიერება. ძარცვას უმეტესათ ახდენდნენ სამსახურიდან განთავისუფლებული მეზღვაურნი, ჯარისკაცები და მოწაფეები. ბრიტანიის დარაჯები იცავენ დიდ რეინის ხიდს.

ჩინეთმა მოითხოვა ჰოლანდიის ელჩის პეკინიდან გაწვევა, რომელიც ყველაზე ენერგიული გერმანოფილია და რომელიც აფრთხილებდა ჩინეთს არ დაეპატიმრებიათ გერმანელები და გერმანულ ბანკების ლიკვიდაცია არ მოეხდინათ.

ბერლინში მდგომარეობა რთულდება. მთავრობამ აკრძალა ჯარების ყაზარმიდან გამოსვლა. ლიპკნეხტის პარტია დაბეჯითებით მოითხოვს მუშათა საერთო გაფიცვას. ამ პარტიის მომხრეებს აქვთ მრავალი ტყვიისმფრქვეველი და ამუნიცია. სოც.-დემ. უმრავლესობის პარტიას განზრახული აქვს მთავრობას ულტიმატიურად მოსთხოვოს, რომ დაშალოს სპარტაკის კომიტეტი და ლიბკნეხტი დააპატიმროს.

### ბოლშევიკების ცნობები.

**მოსკოვი**, 11 დეკემ. **როტერდამი**, 5 დეკ. ლონდონის გაზეთი „დეილი ნიუსი" იუწყება, რომ ინგლისსა და ამერიკის შორის ახალი მოლაპარაკებაა საზღვაო კავშირზე, რომლის ძალით ორივე სახელმწიფოს ზღვაში ერთნაირი ძალა უნდა ყავდეს. **ბაზელი**, 4 დეკემბ. იუწყებიან, რომ მოკავშირეთ გადაუწყვეტიათ თავისი ჯარი ბერლინში შეიყვანონ ზეიმით. **კელნი**, 4 დეკ. კელნის გაზეთი იუწყება, რომ 4 დეკ. იქ ჩავიდა მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარის მოწინავე ნაწილი. კელნში დაიწყო მაღაზიების დარბევა. პოლიციას დამრბევლებთან შეტაკება უხდება. **ბერლინი**, 4 დეკემბ. სპარტაკელები მოითხოვენ ყველა კონტრრევოლიუციონურ ოფიცერთა და ჰინდენბურგის დაუყოვნებლივ დაპატიმრებას. მოკავშირეთა მიერ დაპყრობილი ოლქებიდან მოსულ ცნობების მიხედვით, იქ მცხოვრებნი მძიმე პირობებში იმყოფებიან. მოკავშირეთა ჯარი ყოველ დღე ახდენს რეკვიზიციას, რეკვიზიციას უშვრებიან არამც თუ საზოგადო, არამედ კერძო ქონებასაც. მცხოვრებთ აწუხებს განსაკუთრებით კოლონიალური ჯარი, რომელიც კერძო სახლებშია დაბანაკებული. მოკავშირეთა თეთრ და შავკანიანთა ჯარების მხრივ ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა და ძალადობა მასიურ ხასიათს ღებულობს. **ლისაგორსკი**, 10 დეკემ. ჩერნიგოვის გუბერნიაში უკრაინის არმიის საწინააღმდეგოთ ბოლშევიკები აგიტაციას ეწევიან და მხარს უჭერენ პეტლიურას გაიდამეკელებს. ჩერნიგოვის გუბერნიაში პეტლიურას ჯარის სარდლობამ კონოტაში მყოფ გერმანელებს იარაღის ჩამორთმევაზე ულტიმატუმი წარუდგინა.

13 დეკემბერი.

### გერმანული პრესის ცნობები.

შეთანხმების სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ გერმანიას ღვაწლი მიუძღვის რუსეთის მოსაზღვრე მხარეებსა და უკრაინაში. ოდესაში შესულ ჯარის უფროსი მცხოვრებთა მიმართ გამოცემულ მოწოდებაში ამბობს: „ჩვენ ისე, როგორც გერმანელები, აქ მოვედით არა დასაპყრობათ, არამედ უფლებრივობის და სამართლიანობის დასაცავათ.

სოც.-დემოკრატიულ პარტიის მანიფესტაციების დროს ილაპარაკეს სახალხო კომისრებმა: ებერტმა და შეიდემანმა. ებერტმა ლუსტგარტენში მრავალ რიცხოვან მიტინგზე სთქვა: „მანიფესტაციები იმის დამამტკიცებელია, რომ ბერლინის და ყველა მუშების უმეტესი ნაწილი სდგას მთელი ქვეყნის სოც.-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ. ყველა მიტინგზე ჩვენ გადაჭრით და არკვეულათ გამოვსთქვით ჩვენი სურვილი. ჩვენ გვინდა: ზავი, თავისუფლება და პური, თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ დროებითი ზავის ვადის გაგრძელებას, რომელიც რამოდენიმე დღის შემდეგ დასრულდება, თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ ზავს და წესრიგს, მაშინ იღუპება რევოლიუციის მონაპოვარი. ახალი წესწყ. საფუძველია სიტყვის ჴ ხინიდისს თავისუფლება. მათზეა დამყარებული რევოლიუციის გამარჯვება და მათ დაკარგვისას, რევოლიუციაც დიმარცხდება. ძალადობა ყოველთვის რეაქციას ნიშნავს. ჩვენ დავამხეთ ტირანთა მთავრობა და ის ვეღარ აღსდგება. რესტავრაციის ყოველივე ცდას მთელი ენერგიით უნდა შევებრძოლოთ. ჩვენ შევებრძოლებით ყველა უზურპატორს, რომელიც ხალხის სურვილის წინააღმდეგ წავა. ჩვენ არ გვინდა უზურპატორთა მთავრობა. ჩვენ გვსურს მთავრობა, რომელიც ხალხის სურვილის სრული გამომხატველი იქნება. იმ დრომდე, სანამ ხალხს თავისუფალი ხმის მიცემის საშუალებით არ გამოუთქვამს თავისი სურვილი, მთავრობა არის დროებითი და ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მალე მოვიწვიოთ ეროვნული კრება. რევოლიუციის საბოლოოთ გამარჯვების უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო კრილობით, რომელიც დემოკრატიულ საარჩევნო უფლების საფუძველზე შესდგება. მე სრული ნდობით ვეპყრობი ხალხის პოლიტიკურ აზროვნებას, მე დარწმუნებული ვარ, ეროვნული კრილობა მთელ კაცობრიობას დაუმტკიცებს, რომ უქმად არ ჩაიარა სოციალდემოკრატიის 50 წლის მუშაობამ და რომ მის მსოფლმხედველობას ახლა მთელი ერი იზიარებს. თავისუფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს. საკმაო სისხლი დაიღვარა, ნუ თუ დაიღვრება სისხლი ახლაც, როცა გერმანიის მუშებმა ძალაუფლება ხელში აიღეს. არა, ეს არ მოხდება. შიგნით წესიერების დაცვა შეადგენს აუცილებელ პირობას, რომ ჩვენ გვქონდეს სამუშაო და პური. მშვიდობიანობა შიგნით, ზავი გარედ და მუშათა მასის სოლიდარობა შეადგენს ჩვენი ცხოვრების საფუძველს. უამისოდ რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს. ამიტომ მოგმართავთ თქვენ, მუშებს, ჯარისკაცთ და ყველა ამხანაგებს შემოკრბით ჩვენს გარშემო და დაეხმაროთ ჩვენს მძიმე მუშაობის დროს მრეწველობას, რათა უკანასკნელ საშინელ წლების შემდეგ ზავს მივაღწიოთ.

ეროვნულმა კრებამ აკრძალა გერმანიაში რუსეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა შესვლა, რომელთაც განზრახული აქვთ გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალურ კომიტეტში მონაწილეობის მიღება.

პრეზიდენტ ვილსონს საუბარი ჰქონდა საფრანგეთის ელჩ ჟიუს-სერანდოსთან. „პარიზიენის" ცნობის თანახმად ვილსონმა განაცხადა, რომ მას სურს მონაწილეობა მიიღოს საზავო კონფერენციაში, რათა თავისი 14 მუხლი, რომელსაც მიზნათ აქვს ჩაუყაროს საფუძველი ხალხთა ზავს, თვით წამოაყენოს და ცხოვრებაში გაატაროს. „ფორვერტსი"-ს მოჰყავს ეს ცნობა შემდეგის სათაურით: „როგორ, როდის და სად".

ინგლისელთა, საფრანგეთის და ბელგიელთა კომისია ბერლინში ჩავიდა.

### გერმანული პრესის ცნობები.

ავსტრიის ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ჩერნინი გერმანია ავსტრიის ნაციონალურ კრილობის არჩევნებში კანდიდატათ არის წამოყენებული. ფიქრობენ, რომ მას აირჩევს ვენის ან ზალცბურგის ოლქი.

სახალხო კომისარმა ბარტმა შემდეგი განაცხადა: ამხანაგ იოფეს რადიო-დეპეშაში ნათქვამია, რომ მე მივიღე მისგან ფული, იარაღი და ამუნიცია რევოლიუციონურ მიზნებისთვის. ამის გამო მე ვაცხადებ, რომ არც მისგან და არც სხვა რომელიმე ამხანაგისგან არას დროს არ მიმიღია არც ფული და არც იარაღი. რამდენიმე ასი ათას მარკამ ჩემს ხელში გაიარა პროპაგანდისთვის და რევოლიუციის მოსამზადებლათ. ეს ფული კი მე მივიღე გერმანელ ამხანაგებისაგან. მე მხოლოდ ერთხელ ვნახე იოფე დაახლოვებით რევოლიუციის დაწყების 14 დღის წინად და ველაპარაკე იმის შემდეგ, რაც იარაღის დიდი ნაწილი უკვე მქონდა. ვაცხადებ, რომ მე პირველმა განუცხადე დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრ. პარ. ხელმძღვანელთ, განსაკუთრებით ჰააზეს იარაღის შეძენის შესახებ მას შემდეგ, რაც მე უკვე მქონდა იარაღი. ამიტომ ისინი მომხდარ ფაქტის წინაშე დავაყენე.

### ბოლშევიკების ცნობები.

**მოსკოვი**. 11 დეკ. ბერლინის მუშათა და ჯ. კ. საბჭომ მხარი დაუჭირა პროლეტარიატის დიქტატურას. მრავალი კაპიტალისტი ოჯახებით ქალაქს სტოვებენ. სახალხო რწმუნებულთა რყევამ ეკონომიურ სფეროში და მათმა კომპრომისულმა პოლიტიკამ ბერლინის მუშათა მასაში საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. ვესტვალის მაღაროების მუშათა გაფიცვაც პოლიტიკური ხასიათისაა. **ბუდაპეშტი**. ჰუნგრეთის დამფუძნებელ კრების არჩევნები იანვარში მოხდება. დაწვრილებით უნდა გამოირკვეს ჰუნგრეთის რომელ ოლქს შეუძლია ჰუნგრეთის დამფუძნებელ კრებაში წარმომადგენლობის უფლება. სლოვაკთა სახალხო მთავრობამ ჰუნგრეთის მთავრობას თავის დელეგატის საშუალებით განუცხადა, რომ ჩეხ. სლოვაკების დამოუკიდებელ რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ქ. კასსა იქნება. **რუმინიამ** ტრანსილვანიაში სადემარკაციო ხაზი გადალახა და ბესტერენ ასედს მიაღწია. **ლიონი**. 11 დეკემბერი. სმირნის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის სათავეში შექრი განემი სდგას, კლემანსოს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც სთხოვს ყურადღება მიაქციოს მთლიანი სირიის დაცვის საჭიროებას. კლემანსოს უპასუხა, რომ ეს საკითხი განხილული იქნება საზავო კონფერენციაზე. საბერძნეთის პრემიერ მინისტრი ვენიზელოსი საგარეო საქმეთა მინისტრის თანხლებით ათინიდან საფრანგეთში გაემგზავრა. მთავრობის დავალებით ოსმალეთის საელჩომ გერმანიის მთავრობას მოსთხოვა სამშობლოში დააბრუნოს ოსმალეთის ყოფილი ვეზირი თალაათ-ფაშა. ენვერ ფაშა და დანარჩენი მთავრობის წევრნი, რომლებმაც გერმანიას შეაფარეს თავი. **ასტრახანი**. 11 დეკემ. თერგის ოლქში დარჩენილი სერებრიაკოვის მოხალისეთა რაზმი საბოლოოთ მოსპეს. განთავისუფლებულ ჩრდილოეთ კავკასიაში დიდძალი შენახული პური, ზეთი, ხორცი და ხილია. **კურსკი**. 11 დეკემბერს ბელგოროდი მეამბოხე ბოლშევიკებმა დაიჭირეს. ეკატერინოსლავის ქუჩებში პეტლიურას ჯარისა და მოხალისეთა ჯარს შორის ბრძოლა გერმანელ ჯარის სარდლობის მოთხოვნილებით, შესწყდა. მდგომარეობა გამოურკვეველია.

## ახალი ამბები

**სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა არ დაბეჭდონ ცნობები საომარ მოქმედებაზე და რესპუბლიკის ჯარის გადაჯგუფებაზე თუ ამის შესახებ პირდაპირ მინისტრისაგან არ იქნება ცნობა.**

**ამხ. აზატიანის მოკვლა.** ერევნიდან მიღებული ცნობით იქ მოუკლავთ სომხეთის პარლამენტის წევრი, თფილისის ქალაქის გამგეობის ყოფილი წევრი და ხმოსანი ამხ. ჰაიკ აზატიანი. მკვლელი ვერ შეუპყრიათ.

**ფოთიდან** მიღებული ცნობებით იქ ნოვოროსიიდან მოსული რუსები დაუკავებიათ, რადგანაც მათ ნოვოროსიის ქართველ კონსულისაგან საქართველოში შემოსვლის ნებართვა არ ჰქონიათ.

**ყაჩაღ მანჯავიძის მოკვლა.** გუშინ, დილის 11 საათზე შტაბის ქუჩაზე სასტუმრო „ფრანციის" წინ მილიციონერებმა შეამჩნიეს ორი საეჭვო პირი და მოინდომეს მათი შეპყრობა: ერთმა მათგანმა რევოლვერი ამოიღო, რომ მილიციონერი მოეკლა, მაგრამ უკანასკნელმა მოასწრო და ერთი მათგანი იქვე მოკლა. მეორე გაიქცა. მოკლული აღმოჩნდა ყაჩაღი მანჯავიძე.

**სახელმწიფო დაწესებულებათა მოხამსახურენი.** 10 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა, რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების ჯამაგირები გათანასწორებულ იქნას და შეიქმნას მათი სასურსათო დახმარების ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის შესაქმნელად გადაიდო ორი მილიონი მანეთი. მისი მოწყობა მიენდო ცენტრალურ სასურსათო საბჭოს და შრომის სამინისტროს.

**ქურდობა.** ექიმ შ. არჯევანიძის ბინიდან სემიონოვის ქუჩაზე № 4-დან ბოროტგამზრახველებმა წაიღეს 5,000 მანეთის სხვადა სხვა ნივთები.

— 11 დეკემბერს, ღამით, დავიდიანცის ბინიდან მიხაილოვის ქუჩა, № 76, ბოროტგამზრახველებმა წაიღეს 16,500 მან. სხვა და სხვა ნივთები.

**უმუშევართა სასარგებლოთ** შრომის ბირჟას ივლისში, ბათუმის პორტის დროებითი სამხედრო კომიტეტმა გადასცა 2,169 მან. 37 კაპ.

**ახალციხე-ახალქალაქში** სასოფლო კომისიამ გაგზავნა მომუშავენი დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ერობის მოსაწყობათ.

**ოს ამხანაგების საყურადღებოდ.** შაბათს, 14 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ამხანაგ ოსების ს. დ. კრება სანდრო ფარნიევის ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა, № 18, სადაც პროფესიონალური კავშირები იყო) შემდეგი კითხვების განსახილველად: 1) ოსების უკანასკნელი ეროვნული კრილობა, რომელიც მოხდა 4 დეკემბერს ქ. ცხინვალში და ჩვენი დამოკიდებულება ამ კრილობაზე ახლად არჩეულ საბჭოსთან; 2) ერობის შემოღება ოსებში; 3) საორგანიზაციო და სხვა კითხვები.

**საქ. ს.-დ. ცენტრალურმა კომიტეტმა** მიიღო ახმეტის რევოლიუციონურ ტრიბუნალისაგან (ნ. წიწვიძის ხელით) სამასი მანეთი (300 მანეთი).

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

კვირას, 15 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე მეოთხე რაიონის კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქ. № 29) დანიშნულია ალიხანოვის რაიონის სოც.-დემ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. ვინაიდან ეს კრება მეორეთაა დანიშნული, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, კრება კანონიერად ჩაითვლება. ამიტომ ამხანაგებს ვსთხოვთ უსათუოდ გამოცხადდნენ კრებაზე.

15 დეკემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია წმ. მარინეს ეკლესიის ყოფილ სამრევლო შკოლის შენობაში ქართველთა შ. წ. კ. გ. საზოგადოების ავლაბრის განყოფილების სამკითხველო ბიბლიოთეკის წევრთა საზოგადო კრება.

## იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის სამინისტრო სასწრაფოდ იმუშავებს კანონ-პროექტს მექრთამეებისათვის დაწესებულ სასჯელის გადიდების შესახებ. ახალი კანონ-პროექტით მექრთამეობისთვის სასჯელი გადიდებულ იქნება 10 წლის კატორღამდე.

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით ამიერიდან სამინისტროს კანცელარიაში ქართველებისაგან და ქართულის მცოდნე პირებთაგან მხოლოდ ქართულად დაწერილი თხოვნები და განცხადებები მიიღება. რუსულად დაწერილი თხოვნები დროებით მიიღება მხოლოდ არა ქართველთაგან, ვინც ქართული არ იცის.

ქუთაისში მოხდა სრული ნაციონალიზაცია საპროკურორო და ხაგამომძიებლო ნაწილისა.

თფილისის მილიციის მოხელეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა დანიშნულ იქნას რევიზია თფილისის მილიციისა.



**სილოვან ნიკოლოზის ძე ერქომაიშვილი.**

ამხ. სილოვან ერქომაიშვილის სახით რკინის გზის დემოკრატიამ დაჰკარგა საუკეთესო მებრძოლი და დამცველი რევოლიუციის.

იმ ამხანაგებს, რომლებსაც 1905 წლის რევოლიუციის დროს ბათუმ ქუთაისის რაიონებში უმუშავნიათ, კარგათ ეხსომებათ ამხანაგი სილოვანი, რომელიც მედგარი დამცველი და საუკეთესო მებრძოლი იყო თავისუფლებისათვის. მისთვის არ არსებობდა არავითარი შიში, და არ გვახსოვს, რომ რაიმე დაბრკოლების წინაშე მას ქედი მოეხაროს. ამხანაგი მოესწრო იმ თავისუფლებას, რასაც ნატრობდა, და რასაც შესწირა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე, მაგრამ საუბედუროდ არ დასცალდა მას, რომ დამტკბარიყო იმ თავისუფლებით, რომლის მოპოებაშიც საკმარისი წვლილი ჰქონდა შეტანილი განსვენებულს.

ულმობელმა სიკვდილმა, ხან-მოკლე ავათმყოფობის შემდეგ, მოუსპო სიცოცხლე.

1916 წელს ამხ. ერქომაიშვილი დაინიშნა სად. სანაინში, სადაც გადმოსვლისთანავე დაარსა ს. დ. ორგანიზაცია, რომელსაც თავმჯდომარეობდა უკანასკნელ დღემდის.

ამა წლის აპრილში ის მიიწვიეს რკინის გზის პროფეს. კავშ. თავმჯდომარეთ.

ამხანაგების რჩევით იქნა გადაყვანილი სად. ბორჯომში, რათა გაუმჯობესებულიყო მისი ჯანმრთელობა, მაგრამ ოჯახური პირობების ცუდათ დატრიალებამ იმოქმედა მასზე და მოუსპო სიცოცხლე.

მშვიდობით დაუვიწყარო ამხანაგო!

პრ. ინწკირველი.

## ზავის გარშემო

**მოკავშირეთა წარმომადგენლის დეკლარაცია კიევში.**

საფრანგეთის კონსული კიევში ემ. ენნო აცხადებს: მოკავშირენი, თავისი საგანგებო წარმომადგენლის, კიევში მყოფ საფრანგეთის კონსულის პირით აცხადებენ, რომ მათ გადაწყვიტეს არ დაუშვან არავითარი დარღვევა რუსეთის რეორგანიზაციის და აქ წესრიგის აღდგენის საქმეში, რომელიც დაიწყეს რუსეთის პატრიოტებმა და რომელსაც მხარს უჭერენ მოკავშირ. აღდგენა რუსეთისა, როგორც სახელმწიფოსი, რომელიც შედიოდა გამარჯვებულ დემოკრატიული ქვეყნების ბლოკში, მოხდება თანახმათ ყველა პატრიოტებისა და იმ ელემენტების სურვილისა, რომლებიც კი ემხრობიან წეს-რიგის დამყარების საკითხს რუსეთში.

რაც შეეხება კერძოთ სამხრეთ რუსეთის ოლქებს, გერმანელების მიერ დაკავებულების თუ არა დაკავებულების [illegible] ემუქრება ბოლშევიზმი, მოკავშირენი აცხადებენ, რომ მათი [illegible] იქ წესრიგი. ეს გარდაუვალი გადაწყვეტილება ახლო მომავალში მოყვანილ იქნება სისრულეში შეიარაღებული ძალით, ისეთივე ძლიერით, როგორათაც ამას მოითხოვს საქმის მდგომარეობა. ამას გარდა მოკავშირენი აცხადებენ, რომ ამიერიდან ისინი მთელ პასუხისმგებლობას აკისრებენ იმ პარტიების და ორგანიზაციების ლიდერებზე, რომლებიც ანარქიას და უწესოებას ახდენენ.

საფრანგეთის კონსული კიევში აცხადებს, რომ მოკავშირენი მხარს უჭერენ არსებულ ძალა უფლებას კიევში, რომელიც განსახიერებულია პან გეტმანით და მისი მთავრობით, და იმედი აქვთ რომ ის დაიცავს წეს-რიგს ქალაქებსა და სოფლებში, სანამ ქვეყანაში მოკავშირეთა ჯარები მოვიდოდნენ, მოკავშირეთა ჯარებს სურთ შემოვიდნენ თქვენ საზღვრებში არა როგორც მტერნი, არამედ როგორც მეგობრები იმ ხალხისა, რომელიც ორ წელიწადს გმირულათ იბრძოდა მათთან ერთათ.

ყოველი განზრახვა, რომელიც მიმართული იქნება არსებული მთავრობის წინააღმდეგ ყოველი აჯანყება, რომელიც კი ხელს შეუშლიდა მოკავშირეებს თავისი მიზნების განხორციელებაში, ჩაქრობილ იქნება. ამის გამო, მოკავშირენი წინადადებას აძლევენ ყველას დაიცვან სიმშვიდე, დაუბრუნდნენ შრომას და პატივი სცენ წეს-რიგს.

**ბალტიის მხარის მონარქია.**

**რიგა.** მოხდა ლიფლიანდიის და ესტლიანდიის ლანდსრატებისა (ნაც. საბჭო) გაერთიანება ბალტიის მხარის კონსტიტუციონურ მონარქიულ სახელმწიფოს დასაარსებლად. კურლიანდიის ლანდსრატი პროტესტს აცხადებს ვილსონის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მხარს უჭერს ლატიშების რესპუბლიკას.

## რუსეთის ცხოვრება

**რუსეთის სოც.-დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი უფის მთავრობის შესახებ.**

რ. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უფის თათბირის გამო მიუმართავს წერილით პარტიულ ორგანიზაციებისთვის. წერილში ნათქვამია, რომ პოლიტიკური პირობების გამო ც. კ—ს არ შესწევს ძალა, რომ პარტიის პოლიტიკა აღმოსავლეთში გამოსწორდეს საერთო პარტიულ დადგენილებების თანახმად. „ჩვენ ვფიქრობთ,—სწერია წერილში,—რომ პარტიის მონაწილეობა იმ თათბირში, რომელიც მოწოდებულია შექმნას მთავრობა, რომელიც ემყარება უმთავრესად გარეშე ძალის ხიშტებს, მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განისაზღვრება მხოლოდ ინფორმაციული მიზნებით. ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა გადაჭრით განაცხადოს პროტესტი ჩვენი პარტიის სახელით, როგორც მთელის სარგებლობის წინააღმდეგ. თუ მოიწადინებენ მისი სახელით სანქცია უყონ უფაში მომხდარ ფაქტს". დასასრულ ნათქვამია, რომ პარტია ეხლაც მხარს უჭერს დამფუძნებელ კრებას, მაგრამ მთავრობა, რომლის დამფუძნებელი კრების სახელით გამოხატავს საზოგადოებრივი ძალების მიერ, რომლებიც არ დგანან დემოკრატიულ ნიადაგზე, ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, პარტია, რომელიც, მიიღებს უმრავლესობას არჩევნებში, დემოკრატიისთვის უცხო კაპიტალიზმის და მილიტარიზმი კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან კომპრომისის გამო ვერ ჰპოვებს სოციალისტური პროლეტარიატის დახმარებას.

## ყუბანის ოლქში

როგორც ვიცით ამას წინათ გაიხსნა ყუბანის საგანგებო საოლქო რადას სხდომები. იქ იყვნენ აგრეთვე მოხალისეთა არმიის წარმომადგენლები, რომლებიც არ დაეთანხმნენ რადას პოლიტიკას, რასაც შედეგათ მოჰყვა მოხალისეთა არმიის წარმომადგენლების მიერ რადის დატოვება და ასე ყუბანი და მოხალისეთა არმია ერთმანეთს დაშორდნენ. უმთავრესი სიტყვები წარმოსთქვა საოლქო მთავრობის თავმჯდომარემ ბიჩმა. ის შეეხო რუსეთის მოკავშირეებისადმი ერთგულებას და მთლიანი რუსეთის აღდგენას და შემდეგ გადავიდა სხვადასხვა სახელმწიფოების (რომლებიც რუსეთის დანგრევის შემდეგ დაარსდენ) დახასიათებაზე. ფინეთის და პოლონეთის შესახებ მან სთქვა, რომ მათ სრულ უფლება აქვთ დამოუკიდებელნი იყვნენ. შეეხო რა უკრაინას, მან სთქვა, რომ „ჩვენ ანგარიშს ვუწევთ უკრაინის დამოუკიდებლად არსებობის ფაქტს, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა დაიცვა საბჭოთა რუსეთისაგან"-ო. კერძოთ შეეხო რა საქართველოს, მან სთქვა, რომ „საქართველოს დემოკრატია უკანასკნელ მომენტამდე რუსეთთან ყოფნის ნიადაგზე, დამოუკიდებლად და გმირულად აწარმოებდა ომს ოსმალეთთან და ბოლშევიკებთან. მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგი იძულებული იყო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკი-

დებლობა ალებრუნბინა, რომ მიეღო თავისი ხელშეუხებლობის გარანტიები".

სამართლეს სრულიად არ შეეფერება რადის წევრის ფილოსოფოვის რწმუნება იმის შესახებ, თითქოს საქართველოთა მოხალისეთა არმიას „წითელ არმიელებით" გაუქრებოდა. საქართველოს ჰყავს თავისი არმია, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს „წითელ არმიელებთან", რომლის წინააღმდეგაც ის სასტიკ ბრძოლას აწარმოებს".

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათის შემდეგ წარმოდგენილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია, რომელიც შესწორებების შემდეგ მიღებულ იქნა.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ მოხალისეთა არმიის წარმომადგენელ გენერალმა ლუკომსკიმ განაცხადა, რომ მოხალისეთა სარდლობას არ შეუძლიან მონაწილეობის მიღება მთავრობაში და არც სურს იკისროს პასუხისმგებლობა იმ საქმისა, რომელსაც იღებს ხელთ ოლქის რადა. ამის გამო მთავარსარდალი მოხალისეთა არმიისა გაიწვევს უკან ოლქის რადიდან და თავის მუშაობას მოხალისეთა დაშლარი არ დაუქვემდებარებს რადას.

## რკინის გზაზე

5 დეკემბერს მოხდა კრება საქართველოს რკინის გზის მე-5 რაიონის ტეხნიკური და კომერციული სექციის გამგეობისა, გარჩეულ იქნა სხვადასხვა კითხვები დიდი კამათი გამოიწვია რკინის გზაზე უნუგეშო მდგომარეობის საკითხმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობას რკინის გზისა და ზოგიერთი მუშა-მოსამსახურეების შეუფერებელ მოქმედებას, ერთხელ და უკანასკნელად ვაცნობებთ გაზეთის საშუალებით ხსენებულ სექციის წევრებს, რათა შესწორება იქნას დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავე იქნება სექციიდან განდევნილი და მიეცემა შავი მოწმობა, რომლითაც სამუდამოთ ეკრძალება მუშათა ორგანიზაციაში შესვლა. დამნაშავეს ვინაობა და გვარი გაზეთებში იქნება გამოცხადებული. დასასრულ მოვუწოდებთ საქ. რკ. გზის მე-5 რაიონის ტეხნიკურ და კომერციულ სექციის გამგეობა, ყველა თავის ორგანიზაციის წევრებს, რომ არ დაკარგონ სამუდამოთ მუშათა სახელი, პირნათლათ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა".

ნ. ჟიბლაძე.

## ს.-დემ. პარტიაში

ტფილისი. 6 დეკემბერს შესდგა მეხამე რაიონის კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის დღიური შემოსავლის გადადება პარტიის წევრთაგან; 2) გვარდიის დღესასწაულის მოწყობაში მონაწილეობის მიღება; 3) მდივნის თანამდებობაზე დამტკიცება. პირველი კითხვის შესახებ, კოლექტივმა დაადგინა შემდეგი: ფონდის აკრეფა მოხდეს ლექციების და წარმოდგენების საშუალებით და არა ხელფასიდან დღიური გადასახადით. გვარდიის დღესასწაულის მოწყობაში მონაწილეობის მისაღებათ კოლექტივმა ამოირჩია 6 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც დაესწრება შტაბს დღესასწაულის მოწყობაში. კრების დასასრულ კოლექტივმა დაამტკიცა თანამდებობაზე პრეზიდიუმის მიერ მიღებული მდივანი კ. გოგორიშვილი.

## მუშათა შორის

ტფილისი. 6 დეკემბერს მოხდა კრება პროფესიონალური სექციისა რკ. გზ. მოსამსახურე კონდუქტორებისა სად. ტფილისში. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რ. კანდელაკი. დღიურ წესრიგში იყო გასარჩევი 8 საათის სამუშაო დღე. კრებას დაესწრო ცენტრალური კავშირის წევრი საქართველოს სახაზინო რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებისა გელეიძე.

მან აუხსნა კრებას, თუ როგორ დახმარებით მუშავდება სამინისტროში 8 საათის სამუშაო დღის წესი კონდუქტორებისათვის. მცირე კამათის შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში რკინის გზის მიმოსვლის არევ-დარევას და ტეხნიკურის მხრით მოუწყობლობას, მხარს ვუჭერთ მთავარ კომიტეტის მიერ გამოწვეულ 8 საათის სამუშაო დღეს, თვეში 240 საათის მუშაობით და ორი დღის დასვენებით, ოღონდ ზედმეტი საათის მუშაობა სავალდებულო არ იქნეს. ეს დადგენილება გატარდეს ცხოვრებაში არა უგვიანეს 1919 წლის 1 იანვრისა და მასთან ერთად ცენტრალურ კავშირს მოეწვიოს ყრილობა მთელი საქართველოს სახ. რკ. გზისა დახმარებით.

## წერა-კითხ. საზოგადოებაში

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა: 1) დათხოვნილ იქნას სამსახურიდან გერგეთის სკოლის მასწავლებელი იხდორე ტატიშვილი 1 ენკენისთვიდან თავის თანამდებობის მოვალეობის აუსრულებლობის გამო. 2) მიეცეს დახმარებათ 100 მანეთის წიგნები საპატიო ბათლიონში დაარსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს თანახმად ხსენებული ბათლიონის უფროსის პოლ. ვახვახიშვილის თხოვნისა. 3) მიეცეს ერთდროულ დახმარებათ სასტიპენდიო ნაშთებიდან 800 მანეთი ტფილისის კონსერვატორიაში მოსწავლეს თამარა წერეთლის ასულს. 4) აღდგენილ იქნას სწავლა ბათუმის ქართულ სკოლაში და წინადადება მიეცეს ხსენებული სკოლის გამგეს აღ. მგელაძეს შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას. 5) საზოგადოების რწმუნებულთა არა ჩვეულებრივი კრება დაინიშნოს მომავალი წლის 19 იანვარს (ახ. სტილით) საზოგადოების მოქმედების დაწვრილებითი გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის განსახილველად.

## პროვინცია

დუშეთი. 8 დეკემბერს შესდგა დუშეთის მაზრის ერობის ხმოსანთა წინასწარი თათბირი; თათბირი გახსნა დუშეთის მაზრაში ერობის შემომღები კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. ფრუიძემ. თათბირმა თავმჯდომარეთ აირჩია ამხ. ნ. ჩიმაკაძე და მდივნათ ამხ. პ. მანჯგალაძე. თათბირმა დაადგინა: 1) ერობის გამგეობა შესდგებოდეს ხუთი წევრისაგან, 2) ერობის გახსნის პირველ დღეთ ჩაითვალოს 22 დეკემბერი და 3) ერობის კრებაზე გაკეთდეს მოხსენებები: ა) საფინანსო საბიუჯეტო და ადმინისტრაციული გადასახადების შესახებ (ი. ფრუიძე), ბ) ადმინისტრაცია—სასამართლოს და საადგილ-მამულო საკითხების შესახებ (პ. მანჯგალაძე), გ) ერობის ქონების გამორკვევის შესახებ (ვ. ტატიშვილი), დ) განაწილების შესახებ (ნ. ჩიმაკაძე), ე) ტეხნიკის შესახებ (ი. გარსევანიშვილი), ვ) ჯანმრთელობის შესახებ (ი. ბერიაშვილი), ზ) სასურსათო საკითხის შესახებ (ვ. მოლოდინი), თ) სამეურნეო საკითხის შესახებ (ა. ინაშვილი).

ა. ფარნიევი.

—

ბორჯომი. 1 ლი იანვრიდან 1919 წ. ბორჯომის ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილება ხსნის სოფ. ლიკანში (ბორჯომიდან 3 ვერსზე) საზოგადოების სკოლას. საჭიროა მასწავლებელი. ჯამაგირი 400 მან., თვეში, გათბობით და განათებით. მსურველმა უნდა მიმართოს საზოგ. გამგეობას ქ. ბორჯომში.

— ქალაქში „ისპანკამ" შედარებით იკლო, სამაგიეროთ სახადი და ყვავილი გაჩნდა.

— 8 დეკემბერს ბორჯომში მოხდა საშურის რაიონის სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრთა კრება, რომელზედაც სხვათა შორის გადაწყდა—ტეხნიკურ მიზეზების გამო—რაიონის ორ ნაწილად გაყოფა: საშურის და ბორჯომის, რაიც ეცნობა კავშირის მთავარ გამგეობას და სახალხო სკოლების ინსპექტორს.

ნოდე.

## ღია წერილი

ბ-ნ ფარეიშვილს, ი. ქუთათელაძეს და ტუღუშს.

ვინაიდგან თქვენ გაზეთების საშუალებით (იხ. „ერთობა" № 232, „შრომა", № 34 და „საქართველო" № 191) და მრავალი მოხსენებით სამხედრო მინისტრისა და საქართველოს პარლამენტისადმი მე უდავოდ მომიხსენიეთ და საქართველოს რესპუბლიკის მოღალატეთაც კი მომინათლეთ, გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში. დიდ, საზოგადოებას მოჯავრი დასდეთ, თუ ვინ არის ჩვენში ნამდვილი მტრობარი საქართველოს რესპუბლიკისა. პასუხს ველი ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

ა. კეიტაშვილი.

## ცნობები

30 ნოემბერს სანაინიდან გამოვიდა ჯავშნიანი მატარებელი № 1, სადახლოსთან ჯავშნიანის გაჩერების დროს მატარებელს ჩამორჩა ამავე ჯავშნიანის გვარდიელი ითრიდანე გოგუაძე. მის აღმოსაჩენათ მივიღეთ შესაფერი ზომები, მაგრამ დღემდე ვერ ვიპოვეთ. ირკვევა, რომ იმავე ღამეს უნახავთ მდ. ხრამის ხიდთან. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ჯავშნ. მატ. მთავარ შტაბში. სადგურზე.


# განცხადებანი

ექიმი
## დ. ზ. ნიჟარაძე
იღებს ავადმყოფებს დღის 2—4 საათ. ნაძალადევში ლოტკინის ქ. № 9. (12—5)

---

ექიმი
## ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

კბილის საექიმო კაბინეტები
**თეოდორე სამუელის ძე ცხოვრებელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

გახსნილია
## კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავადმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავადმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

---

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
## გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა.
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჰლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჰების. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დამბრილებს რაგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
საწოლები უფასოდ.

---

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბავშო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. მ. ტყეშელაშვილი ყურისა და ყელის. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავადმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

---

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
## მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

გახსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ციურიხში და ბერლინში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავადმყოფები და ოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
## კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სასქესოს ავადმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნიუ"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 6—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით შუადღე დილით. მისამ: ოლღის ქ. № 33.

---

**ექ. [illegible] -საბაშვილი**
[illegible] შინაგან, ქალური და ვენერიულ ავადმყოფთ და [illegible] დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

---

ექიმი
## პ. ტ. ლორთქიფანიძე
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაზაროვის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

---

ექიმი ქალი
**ე. ს. ძარუძას—ბიბურიშვილი.**
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საზებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

---

**ექიმი დ. ნ. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. [illegible] პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე გორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, [illegible] ნაკლებობა, ვენერიული, [illegible] საშარდე [illegible] და [illegible] შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

---

მედიცინის დოქტორი
## ა. გ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ველის ტელ. № 49.

---

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საზებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

კვირას, 15 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე,
## საქ. ს. დ. პ. მეოთხე რაიონული კოლექტივის
ახალ ბინაზე (ოლღის ქუჩ.) № 29, შესავალი შესახვევით) შესდგება ამავე რაიონის წევრთა
# — საზოგადო კრება —
დღის წესრიგი: 1) მოხსენება მე VIII პარტიულ ყრილობისა დელეგატებისა 2) ანგარიში კოლექტივის 6 თვის მუშაობისა, 3) ხელ-ახალი არჩევნები რაიონული კოლექტივის და ტფილისის კომიტეტის წევრებისა, 5) მიმდინარე კითხვები.
რადგანაც ეს კრება მეორედ დანიშნული, დღის 11 საათზე, ქართულ კლუბის შენობაში (სახალხოს ქუჩა № 5). ის კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად წევრთა რიცხვისა, ამისათვის ვსთხოვთ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ. რაიონული კოლექტივი.

---

## მე-6 რაიონული კოლექტივი საქ. ს. დ. მ. პარტიისა
აცხადებს თავის პარტიის წევრების საყურადღებოთ, რომ ვისაც ძველი საწევრო წიგნაკი (1917 წ.) არ აქვს გამოცვლილი ახალზედ და აგრეთვე ვისაც საწევრო გადასახადი ამ წელში არ შემოუტანია, მათ კოლექტივი უნიშნავს უკანასკნელ ვადად 20 დეკემბერს და ვინც ამ დრომდის არ შემოიტანს საწევრო გადასახადს, ისინი პარტიიდან გასულათ ჩაითვლებიან. ბიურო მოთავსებულია 5 უბ. თათრის მოედანი, ღიაა დილის 10—1 საათამდე—საღამოს 4—7 საათამდე. გარეთუბნელებსაც ვთხოვთ ამ დანიშნულ დროზედ შემოიტანონ თავის გადასახადი. მე-6 რაიონ. კოლექტივი.

---

## „იმედი" სასადილო „იმედი"
ახლად შემდგარმა ქალთა წრემ განაახლა მუშაობა და გახსნა სასადილო „იმედი", სადაც მსურველს შეუძლია იაფათ მიიღოს გემრიელი სადილი. მოწვეულია გამოცდილი მზარეული. სასადილო „იმედი" მოწყობილია სუფთად და ლამაზათ. ყოველ დღე მზადდება ხაჭაპურები, ქადები და ყოველნაირი ბუტერბროდები. სადილები მსურველთ მიეცემათ სახლში წასაღებათაც, შეკვეთა სადილებისა და ვახშმებისა მიიღება იქვე. სასადილო გაიხსნება **კვირას, 15 დეკემბერს**, სამუსიკო განყოფილებით, მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები, სადილი დაიწყება 3 საათზე. სტოლების დაკვეთა შეიძლება იქვე. სასადილო „იმედი" მოთავსებულია ძველ სემინარიის შენობაში. (2—2)

---

დრამატიული საზოგადოების გამგეობის
## თავმჯდომარე
ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს, დანიშნულია
## საზოგადო კრება
აღნიშნული საზოგადოებისა განსახილველი საგნები: 1) ახალ წევრთა მიღება, 2) მოხსენება გამგეობისა, 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 4) საზოგადოების გამგეობის წევრთა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. (1—2).

---

1919 წლის იანვრიდან გამოვა დიდი (300—400 გვ) ყოველ თვიური სალიტერატურო-სამხატვრო, სამეცნიერო, საკოოპერაციო და საპოლიტიკო ჟურნალი
## — „შვიდი მნათობი" —
ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი ლიტერატორები, მხატვრები, კოოპერატორები, პოლიტიკოსები და მეცნიერნი.
გამომცემლობა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა (3—3)

---

## ქართული დრამატიული საზოგადოების
## სასცენო სტუდია
ალფავიტით:

ქალნი:
- ანჯაფარიძე ვ.
- გამრეკელი ბ.
- გურგენიძე ვ.
- ერისთავი ა.
- ნადირაძე თ.
- ნინონი
- ქიქოძე ა.
- ქიქოძე ალ.
- წერეთელი ნ.
- წერეთელი ნან.
- ლოლობერიძე თ.
- ცხვედიანი ვ.

ვაჟნი:
- აბაშიძე ვალ.
- ალექსიშვილი ა.
- ბერეჟიანი ს.
- ბერიშვილი შ.
- გელოვანი მ.
- გურული გ.
- ზარდალიშვილი ი.
- კობახიძე ვას.
- კოლხიდელი ა.
- მუავია დ.
- ხარჩიმელიძე გ.
- სუმბათაშვილი კ.
- ხერხეულიძე მ.
- ცინაძე ნ.
- შათირიშვილი კ.
- ჯაბადარი გ.
- ჯიქია გ.

სტუდიის ეს ახალი შემადგენლობა ამ დღეებში განაგრძობს საცდელ წარმოდგენების მართვას არტისტულ საზოგადოების თეატრში. პირველად წარმოდგენილი იქნება: „ბურუსი", „ვითა ფოთლები", „ღალატი", „იმედის დაღუპვა" და სხვა,
ადმინისტრატორი მიხ. ხერხეულიძე.

---

## ქართული თეატრი
შაბათს, 14 დეკემბერს, (ახალი დროით) მიხეილ ქავსაძის მომღერალთა გუნდი გამართავს
## კონცერტს-ლექციით
ბილეთები იყიდება კასაში. დასაწყისი სრულ 7 ½ საათ.
დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში (2—2)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი. № 1.